ოქმი N12

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მესამე მოწვევის სხდომისა

ქ. ხობი 2015 წლის 28 ოქტომბერი

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 36

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 35

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 28 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 28 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერ ჯობავა - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. „ფრაქცია „ხობის“ რეგისტრაციის შესახებ „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 ოქტომბრის N85 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: ნ. შუშანია - სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

2. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი)

3. „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალების საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისთვის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი)

4. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთ განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ განკარგულების პროექტის პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი; თანამომხსენებელი: ჯ. ბერაია - გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი)

5. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბეჭდების ნიმუშების დამტკიცების თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: შ. სირაძე - იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 25, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: მ. ლემონჯარია, ლ. ცატავა)

(კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია: ე. წურწუმია)

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. „ფრაქცია „ხობის“ რეგისტრაციის შესახებ „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 ოქტომბრის N85 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: ნ. შუშანია - სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ნ. შუშანია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ფრაქცია „ხობის“ რეგისტრაციის შესახებ „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 ოქტომბრის N85 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ საკრებულოს ფრაქცია „ხობის“ თავმჯდომარე კახა მიქაბერიძემ პირადი განცხადების საფუძველზე დატოვა ფრაქციის თავმჯდომარის თანამდებობა, ხოლო ფრაქციის გადაწყვეტილებით ფრაქციის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ვასილ კუკავა. აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით კომისიის მიერ მომზადდა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი პროექტი

აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი ცნობის სახით წარმოდგენა.

სხდომის თავმჯდომარემ ისაუბრა კახა მიაბერიძის საკრებულოში წარმატებულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წარმატებები უსურვა მას შემდგომ საქმიანობაში. გამომსვლელმა იქვე მიულოცა ბატონ ვასილ კუკავას ფრაქცია „ხობის" თავმჯდომარედ არჩევა, წარმატებები უსურვა მას და სთხოვა დაეკავებინა მისთვის განკუთვნილი ადგილი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით

აზრი გამოთქვეს: ე. წურწუმია - გამომსვლელმა განაცხადა, რომ მიესალმება ბატონ ნუგზარ შუშანიას გადაწყვეტილებას „თავისუფალი დემოკრატების" პარტიიდან გამოსვლას და კოალიცია „ქართულ ოცნებაში" გადასვლას. გამომსვლელმა ნ. შუშანია დაახასიათა დადებითად, რის შემდგომაც მიმართა მას თუ რა ბედი ეწეოდა საკრებულოს ფრაქცია „თავისუფლებას" მისი პარტია „ქართულ ოცნებაში" გაწევრიანებიდან გამომდინარე

ნ. შუშანია - გამომსვლელმა განმარტა, რომ ის არ არის პარტია „ქართული ოცნების" წევრი და არც არასოდეს ყოფილა, გამომდინარე აქედან არანაირი შეუთავსებლობა არ არსებობს მისი ფრაქცია „თავისუფლების" წევრად დარჩენის შემთხვევაში

დაადგინეს: წარმოდგენილი საკითხი ცნობად იქნეს მიღებული

(განკარგულება N51 ოქმს თან ერთვის)

2. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ"

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (გ. სიჭინავა) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

გ. სიჭინავა - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ გამგეობის განმარტებით გამგეობაში შევიდა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წერილი, ხობის მუნიციპალიტეტის ქვემო ქვალონის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე უძრავი ქონების 6200,00 კვ.მ სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ, შემდგომში ქვემო ქვალონის N1 საჯარო სკოლისთვის გადაცემის მიზნით, სადაც აშენდება ახალი საკარო სკოლა. საკითხი შესწავლილ იქნა გამგეობის შესაბამისი სამსახურის მიერ და მათი დასკვნის საფუძველზე მომზადებულ იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი. გამომსვლელის განცხადებით, გამგეობის მიერ წარმოდგენილი პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

აზრი გამოთქვეს: მ. ლაგვილავა - გამომსვლელი მხარს უჭერს წარმოდგენილ პროექტს და მიესალმება ქვემო ქვალონის ადმინისტრაციულ ერთეულში ახალი საჯარო სკოლის მშენებლობას და წარმატებები უსურვა მშენებლობის ორგანიზატორებს.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 24, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ე. წურწუმია, მ. ლემონჯარია, ლ. ცატავა, კ. ლატარია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N52 ოქმს თან ერთვის)

3. „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალების საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისთვის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალების საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისთვის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (გ. სიჭინავა) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

გ. სიჭინავა - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული მსუბუქი ავტომანქანა ტოიოტა „ქემრი" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 2 ივლისის N164 და ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 1 აგვისტოს N350 ბრძანებების თანახმად გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, დროებით უსასყიდლო სარგებლობით, თხოვების ფორმით გადაცემული იყო საქართველოს შს სამინისტროზე. 2015 წლის 1 აგვისტოდან შინაგან საქმეთა სამინისტროდან სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის გამოყოფის შემდეგ, საქართველოს უსაფრთხოების სამსახურმა გამგეობისგან 2015 წლის 25 აგვისტოს N1866860 წერილით ითხოვა ზემო აღნიშნული ავტომანქანის მათი სამსახურეობრივი ფუნქციონირების შეუფერხებელი საქმიანობის უზრუნველსაყოფად, თხოვების ფორმით ორი წლის ვადით გადაცემა, რაც განხილულ იქნა გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის მიერ და მათი მხრიდან მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ზემო აღნიშნული მოთხოვნა, რის საფუძველზეც მომზადდა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი. გამომსვლელის განცხადებით, გამგეობის მიერ წარმოდგენილი პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი გატანა შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ როგორც ზემოთ აღინიშნა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური მიმდინარე წელს გამოეყო შინაგან საქმეთა სამინისტროს, რაც უდაოდ მისასალმებელია, ასევე მიესალმება ავტომანქანის გადაცემას (თხოვებას) სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისთვის, მათივე შეუფერხებელი საქმიანობის უზრუნველსაყოფად.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 25, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ე. წურწუმია, ლ. ცატავა, კ. ლატარია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N53 ოქმს თან ერთვის)

4. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთ განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ განკარგულების პროექტის პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: ჯ. ბერაია - გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი)

მოისმინეს: ჯ. ბერაია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთ განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარეს (შ. სირაძე) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

შ. სირაძე - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, საკრებულოს სექტემბრის სხდომაზე ძალადაკარგულად იქნა გამოცხადებული „ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 23 იანვრის N1 განკარგულება. გამომდინარე იქედან, რომ საკრებულოს მიერ მტკიცდებოდა, როგორც ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შესყიდვების გეგმა, ასევე საკრებულოს მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების შესყიდვების გეგმებიც, რაც ძალადაკარგულად გამოცხადდა საკრებულოს გადაწყვეტილების საფუძველზე. გამგეობის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტით ცვლილებები შედის საკრებულოს მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების წესდებებში, რომლის თანახმადაც იურიდიული პირების ხელმძღვანელებს ენიჭებათ უფლებამოსილება, გამგებელთან შეთანხმებით დაამტკიცონ შესყიდვების გეგმის დამტკიცების წესი და შესყიდვების გეგმა. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 24, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ე. წურწუმია, ლ. ცატავა, კ. ლატარია, ქ. ოდიშარია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N54 ოქმს თან ერთვის)

5. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბეჭდების ნიმუშების დამტკიცების თაობაზე" განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: შ. სირაძე - იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: შ. სირაძე - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბეჭდების ნიმუშების დამტკიცების თაობაზე" და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ოქტომბრიდან ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს" ავტომატიზებულ პროგრამაზე „დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა" *გადასვლასთან დაკავშირებით,* საკრებულოს სექტემბრის სხდომაზე ძალადაკარგულად იქნა გამოცხადებული საკრებულოს განკარგულება „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბეჭდების, სატიტულო ფურცლების და სამართლებრივი აქტების ბლანკის ნიმუშების დამტკიცების თაობაზე", სადაც გაპარულ იქნა შეცდომა, კერძოდ, ძალადაკარგულად გამოცხადდა საკრებულოსა და საკრებულოს აპარატის ბეჭდის ნიმუშებიც. ზემო აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით კომისიის მიერ მომზადდა წარმოდგენილი პროექტი. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 24, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ე. წურწუმია, ლ. ცატავა, კ. ლატარია, ქ. ოდიშარია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N55 ოქმს თან ერთვის)

კენჭისყრის დასრულების შემდგომ სიტყვა ითხოვა, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ (ლ. ქავთარაძე) და განაცხადა, რომ სურვილი ჰქონდა ბოლო დღეებში გავრცელებულ კადრებთან დაკავშირებით, სადაც ასახულია პატიმართა არაადამიანური მოპყრობა, კითხვით მიემართა საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებისთვის, თუ რა აზრის იყვნენ ისინი აღნიშნულ კადრებთან დაკავშირებით, მაგრამ ისინი რადგანაც, დღეს სხდომაზე არ იმყოფებიან, თავს შეიკავებდა ამ თემაზე საუბრისგან. გამომსვლელმა იქვე მიმართა გამგეობის შესაბამის სამსახურებს და აღნიშნა, რომ მართალია ქ. ხობი ლამაზდება, მიდის მშენებლობები, მაგრამ ყურადღება უნდა მიექცეს იერსახის დამახინჯებას, აგრეთვე ყურადღება უნდა მიექცეს რეკლამების განთავსებას. არავის უნდა მიეცეს უფლება თვითნებურად განათავსოს რეკლამები საკუთარი სურვილით და მიზანშეწონილად მიაჩნია, რაღაც რეგულაციები დაწესდეს ამ კუთხით მუნიციპალიტეტის მასშტაბით..

ჯ. ბერაია - გამომსვლელმა აღნიშნა, რომ რეკლამის ქალაქში განსათავსებლად გამოყოფილია შესაბამისი ადგილები, სადაც მსურველებს შეუძლიათ განათავსონ რეკლამები. რისთვისაც არსებობს შესაბამისი მოსაკრებელი

ე. ჯობავა - გამომსვლელმა განაცხადა, რომ მართალია გამოყოფილია ქალაქში რეკლამის განსათავსებლად ადგილები, მაგრამ ზოგჯერ ადგილი გარკვეულ გადაცდომებს, ამიტომ აუცილებელია გაკონტროლდეს გამგეობის შესაბამისი სამსახურების მიერ ეს საკითხი, რათა არ მოხდეს ქალაქის იერსახის დამახინჯება.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ედიშერი ჯობავა

მესამე მოწვევის საკრებულოს 2015 წლის 28 ოქტომბრის სხდომაზე დამსწრე საკრებულოს წევრთა სია

1. ედიშერ ჯობავა
2. მამუკა ქარდავა
3. გოჩა სიჭინავა
4. ტარიელ ალექსანდრია
5. დოდო გაბუნია
6. შოთა სირაძე
7. ნუგზარ შუშანია
8. თემურ გულუა
9. მალხაზ ლაგვილავა
10. როსტევან გვარამია
11. კახა მიქაბერიძე
12. ლაშა ცატავა
13. ირაკლი ნადარაია
14. ლეონიდე ლოლუა
15. მზია ლემონჯარია
16. ვასილ კუკავა
17. ჯემალ ნადარაია
18. კახა ლატარია
19. გიორგი ხურცილავა
20. მერაბ ფილიპია
21. ქეთევან ოდიშარია
22. ბეჟან ქირია
23. იგორ გოგოლაძე
24. გენად ქამანაია
25. გენად ზარანდია
26. მერაბ ნადარაია
27. ედიშერ წურწუმია
28. მალხაზ ყურუა